

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 3 7 3

ქ. ბათუმი, 12 ივლისი 2018 წ

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1836 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1836 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით (ამავე კოდექსის 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით) გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვროს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლების მიერ, სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ამ ორგანიზაციის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეების მიერ, სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილებამ. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსს საქმის სასამართლოში განხილვის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილებას, მიაწოდოს შესაბამისი მასალები და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების მოთხოვნისას უზრუნველყოს სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.“.

ბ) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (სამსახურის უფროსი) და იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს (დირექტორი) სამართლებრივი აქტით განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ვალდებული იქნებიან სამართალდარღვევათა ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში დადგენილი წესით აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).“.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი